



საქართველო

რეპუბლიკა

მთავრობის მიამბე, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განცხადებები)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასები ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალით, № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიბრებმა კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1-82

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ო. ველახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

შაბათს, ნოემბრის 1-ს ოპერა მუშებისთვის, ნადენოვას, ვიშნისკაის, ხორინას, სარაჯი-შვილის, ინაშვილის მონაწილეობით

„აბსალთა და მთავრი“

ბილეთები იყიდება საქარხნო კომიტეტებში და პროფესიონალურ კავშირების სამდივნოში, ყოფილი სასტუმრო ზომონდი, საღამოს, 6-8 საათამდე.

კვირას—ნოემბრის 2-ს **პრიის ქალი.**

ორშაბათს, ნოემბრის 3-ს „ტრავიატა“. ვიოლეტას პარტიას შეასრულებს ვოლ. ლევიცკაია. სამშაბათს, ნოემბრის 4-ს „აიდა“. ოთხშაბათს, ნოემბრის 5 ს, მ. ო. ალექსეოს მონაწილეობით „ტოსკა“.

გზა-ტყეოსი და სანავოსო გზების სამხარტოვალს

მე-2-ზე და მე-3 უბნის უფროსი ამით აცხადებს, რომ მიზნინარე წლის 8 ნოემბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ტფილისის-ვაზისის გზა ტყეოსების 12 ვერსზედ 83 კუბიკური სივრცის დასახადებლად. მუშაობა შესრულებული უნდა იქნეს მიზნინარე წლის 15 დეკემბრამდე. საჯარო ვაჭრობა იწყება მე-2 და მე-3 უბნების კანცელარიაში. სერგეივის ქ. № 8. ქ. ტფილისში, — დღის 12 საათზე, როგორც ზეპირ შეჯიბრებით ისე დახურული ვაჭრობით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიზნების შესრულებლად უნდა წარმოადგინოს საწინააღმდეგო 10%. მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იქნას კონდიციების გაცნობა შეიძლება ყოველ დღე, გარდა უკეებისა, 10-დან 3 საათამდე აღნიშნულ კანცელარიაში. 3-2 30

ცენტრალური სასურსათო საბჭო ყიდის

გობირღს და შაბიანს.

ფასების გაგება შეიძლება საქმეთა მმართველთა, საბჭოს ბინაზე (დადათოვის ქუჩა № 3), დილის 9 საათ. ნაშუადღის 3 საათამდე. 3-3

ტფილისის კალაქის საკრებ-დასხვა საზ. გაგებობა

წესდების 5 63 ძალით, იხვევს ბ. ბ. რწმუნებულებს საერთო კრებაზე, რომელიც უნდა შედგეს კვირას, ნოემბრის 16-ს 1919 წელს დილის 11 ს. გამგეობის შენობაში. კრების საგნებია: მიზნინარე 1919 წლის დამატებითი ასიგნოვების შესახებ. 3-38

ოფიციალური განაცხადება

დეკრეტი

ფოთოლ თამბაქოზე მონოპოლიის გა-მოცხადებისა.

1. ყიდვა-გაყიდვა, საზღვარ-გარეთ გატანა და განადგობა ფოთოლ-თამბაქოსი შეადგენს სახელმწიფოს მონოპოლიას.
 2. მთავრობას უფლება აქვს, დააწესოს მტკიცე ფასი ფოთოლ თამბაქოსი და ამ ფასით ჩამოართვას იგი მქონებელს.
 3. შენიშვნა: მტკიცე ფასების შესამუშავებლად არსებობს ორგანო, სადაც შეიძლება მთავრობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციების და საეკონომიკური წარმომადგენლების მიერ.
 4. პირველ მუხლში აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად მთავრობას ნება აქვს, გადასცეს საზოგადოებრივ და ანგარიშვალდებულ კერძო დაწესებულებათა და თამბაქოს ფაბრიკებს თავისი უფლება სრულად, ან ნაწილობრივ.
 4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1919 წ. ოქტომბრის 24-ს.
- საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ა. ლომთათიძე.
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
გ. გ. გეგეჭკორი.

განკარგულეგანი

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავ-მჯდომარისა.

8 ოქტომბერი, 1919 წ., № 180.

დანიშნულ იქნას სასამართლოს 8 უბნის გამომძიებლის საქმის მწარმოებლათ მარიამ ალექსანდრეს, ასული ბარამოვისა ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

9 ოქტომბერი, 1919 წ., № 181.

საოლქო სასამართლოს მდივანი ნიკოლოზ გიორგის ძე ბერძნისვილი განთავისუფლებულ იქნას მიზნინარე თანამდებობიდან მისი მომრიგებელ მოსამართლეთ არჩევის გამო, ამა წლის 8 ოქტომბრიდან.

№ 182.

საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწე ამბროსი შანშიაშვილი დანიშნოს იმავე სასამართლოს აღმინისტრაციულ განყოფილების მდივანთ ამა წლის 8 ოქტომბრიდან 2-ზე სისხლის სამართლის განყოფილების მდივნის გამგებლობათა წინდობილობით.

10 ოქტომბერი, 1919 წ., № 183.

საოლქო სასამართლოს თარჯიმანი ლაგრენტი შატბერაშვილი დანიშნულ იქნას იმავე სასამართლოს 1-ლი სისხლის სამართლის განყოფილების მდივნის თანაშემწეთ ამა წლის 8 ოქტომბრიდან.

11 ოქტომბერი, 1919 წ., № 184.

საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწეს მარიამ იმედიაშვილისას მიეცეს ერთი თვის თავისუფლება ავადმყოფობის გამო ამა წლის 25 ოქტომბრიდან ჯამაგირის შენახვით; მე-5 თემაგიდის გამგეობა მიენდოს საკანცელარიო მოხელეს ყარაივისას.

13 ოქტომბერი, 1919 წ., № 185.

საოლქო სასამართლოს 2-ზე სისხლის სამ. განყოფილების საკანცელარიო მოხელე გიორგი გარსიაშვილი დანიშნულ იქნას იმავე სასამართლოს თარჯიმანთ ამა წლის 8 ოქტომბრიდან.

15 ოქტომბერი, 1919 წ., № 186.

დათხვენილია თანამდებობიდან და სრულიათ სამსახურიდან ტფილისის მაზრის 1 უბნის სასამართლოს გამომძიებლის საქმის მწარმოებელი ვლადიმერი გეგაძე ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

№ 187.

დანიშნულ იქნას ტფილისის მაზრის 1 უბნის სასამართლოს გამომძიებლის საქმის მწარმოებლათ ნინა ივანეს ასული ქარშიძე ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

№ 188.

ქალ. ტფილისის ნოტარიუს ველიგეგოვს ავადმყოფობის გამო გაეგრძელოს ამა წლის 29 ივნისის თარიღით № 121 ბრძანებით ნებადართული თავისუფლება მის სრულიად განკურნებამდე.

20 ოქტომბერი, 1919 წ. № 189.

დანიშნულ იქნას საოლქო სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილების საკანცელარიო მოხელეთ ალექსანდრა ფხაკაძისა ამა წლის 21 ოქტომბრიდან.

21 ოქტომბერი, 1919 წ. № 190.

სასამართლოს თანამდებობათა უნცროსს კანდიდატს კახიანცს სასამართლოს პროკურორთან შეთანხმებით, მიეკუთვნოს უნცროსი კანდიდატის ჯამაგირი ამა წლის 6 ოქტომბრიდან.

23 ოქტომბერი, 1919 წ., № 191.

საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწეს გიორგი მაჭავარიანის ასულს თამარ მოძალევსკისას ავადმყოფობის გამო მიეცეს ორი თვით თავისუფლება ამა წლის 22 ოქტომბრიდან.

№ 192.

საოლქო სასამართლოს მდივნის ჯავახიშვილის სენატის სამოქალაქო დეპარტამენტის პროკურორის მდივანთ დანიშნვის გამო განთავისუფლებული იქნას თანამდებობიდან და მის მაგიერ მის თანამდებობაზედ დანიშნოს სამხედრო სასამართლოს მდივნის თანაშემწე მიხეილი ნოზაძე ამა წლის 24 ოქტომბრიდან.

24 ოქტომბერი, 1919 წ. № 193.

საოლქო სასამართლოს 2 სისხლის სამართლის განყოფილების მდივნის თანაშემწე მაჭავარიანი მის სკოლითიკაციო განყოფილების საქმის მწარმოებლათ დანიშნვის გამო დათხოვნილ იქნას თანამდებობიდან და სრულიათ სამსახურიდან ამა წლის 1 ნოემბრიდან.

№ 194.

სასამართლოს თარჯიმანი გ. გარსიაშვილი დანიშნულ იქნას იმავე სასამართლოს 2-ზე სისხლის სამართლის განყოფილების მდივნის თანაშემწეთ ამა წლის 1 ნოემბრიდან.

№ 195.

საოლქო სასამართლოს საკანცელარიო მოხელე ნინა ჩაჩავა დანიშნულ იქნას იმავე სასამართლოს თარჯიმანად ა. წ. 1 ნოემბრიდან

25 ოქტომბერი, 1919 წ. № 196.

მთავრობის მიერ ა. წ. 14 ოქტომბრის თარიღით № 27 სენატის პროკურორის ამხანაგთ დანიშნვისა გამო ჩემის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის აღსრულებას ვანდობ ამავე სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს ე. ვ. ჩემისიკს.

№ 197.

საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვიქტორ მიხეილის ძე მამულაშვილი დამტკიცებულ იქნას აღნიშნულ თანამდებობაში ა. წ. 25 ოქტომბრიდან.

№ 198.

დანიშნულ იქნას საოლქო სასამართლოს საკანცელარიო მოხელეთ ლუსიკა ვასილის ასული იარალოვისა ა. წ. 1 ნოემბრიდან.

სასამართლოს თავმჯდომარე კ. კიხიარია.

№ 199.

ტფილისის ნოტარიუსს კარაკაშს ავადმყოფობის

ფობის გამო გაეგრძელოს თავისუფლება ორი კვირით, მისი თანამდებობა მიენდოს საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ვიქტორ მამულაშვილს, მისი, კარაკაშის ქონებრივი პასუხისგებით.

სასამართლოს თავმჯდომარის მაგ. ე. ჩემისიკი.

შესწორება.

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის განკარგულებას ხელს აწერს დამფუძნებელი კრების კანცელარიის გამგე, — დაბეჭდილია ალ. ზურაბიშვილი, — უნდა იყოს: ილ. ზურაბიშვილი.

არა ოფიციალური განაცხადება

შინაგან საქ. სამინისტროში.

რ. დათვიძის დაპატიმრება.

როგორც საზოგადოებამ იცის, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა შინაური წესით კომერსანტი რაჯ. დათვიძე, სიმონოვი და წვერავა არა კანონიერი ხელშეკრულების დადებისათვის ინგლისის სექსპორტო ბანკთან. კომერსანტი რაჯ. დათვიძე მოთავსებულ იქნა მეტეხში, ხოლო ორი უკანასკნელი განთავისუფლებულია.

ბრძოლაში დაღუპული.

თელავის მაზრაში ამ ბოლო დროს ყაჩაღობამ კვლავ იჩინა თავი. მაზრის აღმინისტრაცია თავგამოდებით ებრძვის ამ ბოროტებას და მსხვეპლს არ ერიდება, ოღონდ ბოლო მოეღოს ამ ნაძირალების მოქმედებას და ამ მხრივ მაზრა უზრუნველყოფს, რომ ყველას შეეძლოს თავისუფლად მოსვენებით ცხოვრება და მშვიდობიანი მგზავრობა.

ავაჯათა ბრძოლაში ამას წინედ თავი დასდო აყალთოს რაიონის კომისარ და დოთა ჩეკურიშვილი. ის სულ მცირე, ძალით შეებრძოლა დამთ. ს. იყალთოში, მაგრამ ყაჩაღის ტყვიამ უმალ მისს გაუგმირა გული.

დ. ჩეკურიშვილი ახალგაზრდა უშიშარი და გამბედავი ყმაწვილი იყო და სწორედ ეს იყო მიზეზი მისი უღროოდ სიკვდილისა. იგი თავის ნებით შევიდა კომისარად და მიზნად დაისახა ყველა ბოროტების აღმოფხვრა. ის ვერ იტანდა თავისუფალ საქართველოს მტრების საქციელს და სადაც საქირო იყო, იქ ის პირველი დადგებოდა წინ. სხვათა შორის როცა ჩვენ ჯარში დეშერტირობა გახშირდა შარშან, ის თავის ნებით შევიდა ჯარში, რითაც უნდოდა მეგალითი ეჩვენებინა სხვებისთვის.

ჩეკურიშვილის დასაფლავება იკისრა თელავის სამაზრო ერობამ, მისი გვამი შესაფერი-ო პატივისცემით გააცილეს თელავიდან ს. შაშონში, სადაც იგი დაკრძალულ იქნა მშობელ სოფელში.

საერთო დებულების შემუშავება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა საერთო დებულების შესამუშავებლათ ფერხდებოდა ძირითად დებულების გამო, რომელიც საფუძვლათ უნდა დაედოს დებულების შემუშავებას, რისთვისაც საჭირო იყო ერობათა ცენტრალურ ორგანოს მოხსენება. ამ მიზნით ამ დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა საგანგებო თათბირი, რომელსაც დაესწრენ: საერთო კავშირის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, აღმინისტრაციის ინსპექტორი და ფინანსთა სამინისტროს და ტფილისის ერობის წარმომადგენელი. კამათის შემდეგ თათბირმა დაავალა ერობათა კავშირის შეიმუშავოს ადგილობრივ მართველობის ძირითადი დებულებები. იქვე შემუშავებულ იქნა შემდეგი პრინ-

ციხეები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედევას დემოკრატიის შექმნას: 1) თვითმართვლობა არის ადგილობრივი მართვლობა; 2) ენ-ლანდელი საჯარო სკოლა და საერთო თვითმართ-ველობანი წარმოადგენენ მართვლობის სხვა და სხვა სახეს, რომელიც ერთი მეორისაგან განიჭრება კომპეტენციის სხვა და სხვაობით.

ეროვნული შუამდგომლობა.

შინაგან საქმეთა საერთო განყოფილებაში შეიქმნა ეროვნული შუამდგომლობა, რომ ეროვნულ და ეთნიკურ ფართალი, საწერ-რი ქალაქი და ავტონომიები, ცხენები და ჯორები ტრანსპორტის მოსაგვარებლათ.

განათლების საინისტრუქციო ოფისის სამსახურის ეროვნული შუამდგომლობა.

ოფისის სამსახური ეროვნული გამგეობა მო-ახსენებს განათლების სამინისტროს, რომ გუ-რის სახალხო სკოლა დღეს განიცდის სახი-ფათო კრიზისს: ცხოვრების აუტანელი სიძვი-რე და ჯამაგირების სიმცირე თან და თან აწორებს სკოლას პედაგოგიურ შემადგენლო-ბის საუკეთესო ნაწილს; მოსალოდნელია ახ-ლო მომავალში მოსწავლე ახალგაზრდობით გავესებული სკოლები დარჩეს სრულიად უქა-სწავლებლოდ. სამსახური ეროვნულ არ აქვს არა-ვითარი საშუალება მცირე ოდენი დაშუა-ტოს ჯამაგირს: მეტი, რომ არ ვსთქვათ, თვე-ში ასი მანეთის დამატება იწვევს 33.000 მ.წ. ხარჯს თვიურად, წლიურად—396.000 მან; ეს თანხა, გარდა იმისა, რომ სრულიად ვერ შეს-ტვის მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარე-ობას, ეროვნული შეძლებას აღემატება. ლეზუ-ლობს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს და უწევს რა ანგარიშს გურობის მასწავლებელთა მოთხოვნილებას—ამა წლის 1 სექტემბრი-დან ჯამაგირის ნორმით 1.600 მ. და დაკმა-ყოფილებას 1 ნორმამდე—გამგეობა სთხოვს განათლების სამინისტროს აღძრას შუამდგომ-ლობა მთავრობის წინაშე სახალხო მასწავლე-ბელთა ჯამაგირების გადიდების შესახებ და ამით უზრუნველყოს სახალხო სკოლის ნორ-მალური მუშაობა.

უცხოეთში გასაგზავნ ახალგაზრდათა სიის შედგენა.

ორშაბათს, 27 ოქტომბერს შესდგა საზღვარ-გარეთ უმ დღეს სწავლის მისაღებათ ახლ-გაზრდათა გაგზავნის შესახებ არჩეულ საუწყ-ებათა შორის კომისიის შემადგენლობიდან გამოყოფილ მცირე კომისიის სხდომა, რომელ-ზედაც განხილულ და მიღებულ იქნა გასაგ-ზავნ ახალგაზრდათა სია. დღეს, 1 ნოემბერს უნდა შეკლდეს თვით საუწყებოთა შორის კო-მისიის პლენუმის სხდომა, რომელზედაც უნდა დამტკიცდეს ეს სია.

საგარეო საქ. საინისტრუქციო ფოსტის გაგზავნა ევროპაში.

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტრომ სტამ-ბოლ—რომ—პარიზში გაგზავნა შიკრიკი, რომელშიც თან წაიღო ფოსტა.

საქართველოს საკრდიტო დაწესებულებათა საუკრად-ლეგოი.

მიუხედავად რამდენჯერმე განმეორებული მიმართვითა საკრდიტო დაწესებულებანი არ უგზავნიან თავის დროზე საქართველოს საკრე-დიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის საჭურ თვიურ ბალანსებს და წლიურ ანგარიშებს, ამიტომ საბჭო იძულებუ-ლია დაბ ჯიბით სთხოვოს ხსენებულ დაწე-სებულებათ გ.ნუქორებლათ, შემდეგში ყოველ თვიურად ეგზავნოს ბალანსები და თავს დროზე წლიური ანგარიშები საბჭოს, რომელ-ც ამ მასალის გადასცემს ვისაც ჯერ არს, რათა ისინი მოთვსებულ იქნას მ. ავრობის ნომბერ „საქართველოს რესპუბლიკაში.“ საკ-რდიტო დაწესებულებანი ამა თანვე ვალდე-ბულნი არიან თავისი თვიური ბალანსები და წლიური ანგარიშები სარეგისტრო კომისიათა დასკვნით და საზოგადო კრებას დადგენილე-ბით ფინანსთა და ვ.ჭობა მრეწველობის სა-მინისტროს საკრდიტო განყოფილებას თავის დროზე წარუ-გ.ნონ.

საქართველოს საკრდიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის საბჭომ უკვე

წარუდგინა ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველო-ბის მინისტრის მოხსენება და მასალა საკრდი-ტის ნდობის საზოგადოებათა წესდების შე-ტვისა და მათვის ზოგადი დებულების კა-ნონდებლობითი წესით გამოცემის შესახებ. ამ მასალის მიხედვით არსებული წესდების მუხლი სრულიად შეიცვალა და საერთოდ სა-სურთიერთო საზოგადოებათა ფუნქციები გაფა-რთოვებულა; ხსენებული მასალა შემუშავებუ-ლია იას. ლორთქიფანიძის მიერ.

პრობა და შკოლის გარე განათლება.

ფრიად საინტერესო სანახაობას წარმოად-გენს დღევანდელი საქართველო. მთელი საუ-კუნის განმავლობაში მიძინებული ეროვნული ენერჯია ცხოველ მყოფელ ნაკადულებათა აჩუხ-ჩუხა დიდმა რევოლუციამ. აღსდგა და წელ-ში გაიმართა მიწასთან გასწორებული და მო-წურად გათარბებული ქვეყანა, რომელიც რუ-სეთის ბიუროკრატის მიწაზე ყავდა მილურ-სმული და გასაქანს არ-აძლევდა თავის ხალ-ხთან ერთად. მკიდრი რუსი და „ნოროდცე-ბი“ ქართველი ერთნაირი ჰაზანწყვეტილ მწე-ოდენ საშინელ უღელს, უხმო იყო მათთვის ზე-ცა, ყრუ იყო დედა-მიწა. მაგრამ ეს იყო და აწ აღარ იქნება; ქართველმა დემოკრატებმა უკვე განვლო საშინელი განსაცდელის გზა, ის უკვე გაიზარდა, დავაყავდა და დღეს ამა-ყად სდგას საკუთარ ფეხზე, მოიშორა აპეკუნი, დღეიდან ის თითონვე სჭედ თავის ბედს, აწერს რეგებს საკუთარ ცხოვრებას და მედგარდ იკეთავს გზას მომავლისაკენ, ბრწყინვალე მო-მავლისაკენ. ასის წლის მონობა ერთგვარი გამოცდა იყო მისთვის, მეცხრამეტე საუკუნე ჩვენი ხალხისთვის წარმოადგენდა ერთგვარ ბრძოლს, რომელშიც რკინასავით ეწრთო იგი, ერთად შეიჯგუფა და შედულდა ფეოდალიზ-მის მიერ დაქსაბული თავისი ნაწილები და ახალი ცხოვრების განთიადისას ერთ ორგა-ნიზმად მქნილი წარუდგა მთელ კაცობობას. დიხ, აღსდგა საქართველო, მაგრამ არა ძველი საქართველო, ფეოდალებისა და მეფეების სა-თარბო, არა თაქთაქიძებისა და მკლავაძე-ების სამეფო, არამედ დემოკრატიის სამშობ-ლო, კაცია მუნჯაძეებისა და სპირიდონ მცი-როშვილების ქვეყანა.

წერილის დასაწყისში ვსთქვი—დღევანდე-ლი საქართველო საინტერესო სანახაობას წარ-მოადგენს თქო და ეს ათასჯერ მართალია. იმ-დროს, როდესაც მთელი ქვეყანა ძირიანდ ირყევა და ყოველგან მხოლოდ და მხოლოდ ნგრევაზეა ლაპარაკი, როდესაც მთელი განა-თლებული კაცობობა ცეცხლით ქმინავ მთა-ზე გრძობს თავს და როდის ამოვარდება გან-მანათლებელი ლავა არ იცის,—იმ საბედის-შერო წამს, როცა ძველს ქვეყანას სიკვდილის აჩრდილი ატუხვია წ-ნ და მომავალი ბურჟ-სით მოცულად ეჩვენება,—ამ დროს პაწა-წენა საქართველო იმედით შეჭურვებს ბრწყინ-ვალე მერმისს, ამაყად გააუწორებია თვლი ბედის ვარსკვლავისათვის და ახალგაზრდის თავდავიწყებით აწერს რეგებს საკუთარ ყოფა-ცხოვრებას, ემზადება აღთქმულ ქვეყანაში შე-სასვლელად და მანათობელ ლამპარის მომზა-ბით არ უნდა დამსგავსოს სახარების იმ სას-ძობებს, რომელთაც არ იცოდენ თუ როდის მოვიდოდა სასიძო და უგუფურად ხმარობდენ სანათურებს.

ჭკუის და დღეს დემოკრატიული საქართვე-ლო: აქ ერობა ინასკება და დაუღალავად ამაშს ორგანიზაციულ ძაბვებს, იქ სასამართლო ეწყობა ახალ საფეხურზე, აქ განათლებას ეწა-ფებოან, იქ კიდევ სახელმწიფოებრივი აპარა-ტი იქედება. მყარდება მიწად მფლობელობის ახალი ურთიერთობა, ახალ და უცნობ ჩარ-ჩობებში დგება საეკლესიო ცხოვრება, მუშაობს იურისტი, ოფისა დერის აგრონომი, მეცნიე-რების ტაძარში თავსუფლათ ღაღადებს პრო-ფესორი, ღვდელთ მოქმედებს მეცნიანი—ს.ლო-ვანი, ვარჯიშობს დიპლომატი, დააღქრეს იმარეგებს პოლიტიკოსი, ჭკუხონ პარლამენ-ტში დებუტატები, ორგანიზაციულად კვშარ-დება მშობელი მაჯა... ყოველგან, ყოველგან მუშაობა, მუშაობა ახლა, უცნობი, უჩვეუ-ლო, ბრწყინვალე მომავლის სიძირკველი, ამ ქვეყნურ სამოთხის ქვა კუთხედი. დიხ, უჩვეულო და უცნობია საქართველოს-

თვის ეს მუშაობა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშ-ნავს, თითქოს უგზო-უგვლოდ მივეხებოდეთ და ჩვენი ცხოვრების მესაქეს არ ჰქონდეს ვარკვეული გზა! არა, ჩვენ არა ვართ გზადამ-ნიეული, იალქნებ ამართულ ჩვენს გეშს კომპა-სიცი მოეპოება და საქეც; მშვენივრად იცის ჩვენმა კაპიტანმა თუ საით უნდა ააღებოთ გემს კურსი და რომელ ნავსადგურს მიადგეს! ამ ძნელ საქმეში ჩვენ გვევლის თეორე-ტიული ცოდნა და სხვა ხალხთამოცდილება, ჩვენ არ ვკისრულობთ მთელი ქვეყნის მასწავ-ლებლობას, ჩვენ ვიცით ჩვენი ძალები, და ამიტომ მოწაფის როლსაც ვკისრულობთ, იმ მოწაფის, რომელიც შეიძლება მასწავლებელ-საც კი წაეტოქოს ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ ის მაინც მოწაფედ რჩება და პირნათ-ლად ასრულებს მასწავლებლის მცებებს. დიხ, ჩვენ ვსწავლობთ და ამ მიზნით მთელს ჩვენს ენერჯიითა და აღფრთვანებით ვეწაფებით ხოლმე ყოველივე იმას, რაც რაიმე სარგებ-ლობას კი მოგვტანს რომელიმე დარგში, რაც სასარგებლო იქნება ჩვენი მუშაობისათვის. ამ წერილის მიზანია ჩვენი ნორჩი ერობის საყურადღებოთ მოკლედ შევხოს იმ მუშაობას, რომელიც რუსეთის ერობამ აწარმოვა სახალ-ხო განათლების ერთ-ერთ დარგში—სახელ-დობრ განათლების შკოლის გარეშე გავრცე-ლებაში. დარწმუნებული ვართ, რომ ახალი გზების მაძიებელ მოუშწიფებელ თვითმართვე-ლობის ამ საგანზე ბაასი უმნიშვნელო არ იქნება.

თანამედროვე განათლების კერა ორ ადგილას ანთია, ერთი შკოლაში, მეორე კი შკოლის გარე-შე. შკოლაში უმეტესად მცირე წლოვანი და სა-ზოგადოდ მოზრდილი თაობა იძენს ცოდნას, ხო-ლო შკოლის გარეშე კი ისეთები აიღებურე-ბიან სწავლით, რომელნიც ამ ხანში შესულნი არიან და ახალგაზრდობისას უკუღმართი რე-ჟიმის გამო შკოლა არ ღირსებიათ; ან თუცე ახალგაზრდანი არიან, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო შკოლის გარე დარჩენილან; შკოლის გა-რე განათლებას ესწრაფებიან ისეთებიც, რომ-მელთაც პირველ დაწყებითი განათლება ვერ აქმაყოფილებს, მაგრამ საუბედურად მეორე საფეხურზე სისტემატიური განათლების მი-ღებაც არ შეუძლიათ. შკოლის გარეშე განა-თლების უმეტეს შემთხვევაში ჰასაკს ვადა-სულნი იძენენ. საყოველთაოდ სავალდებულო განათლების ფენის შოდგმის შემდეგ, რასაკ-ვირველია ასეთი ადამიანის რიცხვი თუ სულ არ მოიპოება, დიდად მაინც შემცირდება, მა-შინ შკოლის გარეშე განათლების ვრცელებაც შეიძლება სულ ზედმეტი დარჩეს—ან სულ სხვა სახემიილოს, ვიდრე. დღეს, მაგრამ სანამ ეს სა-ნატრელი დრო არ დაგვდგომია, მანამდის ერთ-გულად უნდა მოვიკიდოთ ხელი ამ საქმეს, რო-გორც თვით საშკოლო განათლებას. ვინ უფ-რო აწარმოვოს სახელმწიფოში ეს საქმე?

რასაკვირველია იმ ორგანომ, რომელსაც ამა-რია საერთოდ განათლების გავრცელება. ძველ-რუსეთში განათლების მეთაური და წინამძო-ლი საერთოდ მთავრობა იყო, მაგრამ საერო-ბო გუბერნიებში ამ საქმე ერობა უძლირო-და, ამიტომაც იყო რომ ერობიან გუბერნიებ-ში ერობა აწარმოებდა შკოლის გარეშე განა-თლებას, ხოლო უერობო გუბერნიებში თითონ მთავრობა. ჩვენში კი განათლების ვრცელება თითქმის სულ ერობის ხელში გადადის, მთავ-რობას კანტროლის როლი რჩება, ამიტომაც შკოლის გარეშე განათლებაც ერობებმა უნდა ავრცილონ.

რა და რა მიზნებს უნდა ვისახავდეთ შკო-ლის გარეშე განათლების გავრცელების საქ-მეში და როგორის საშუალებებით უნდა ვემ-სახებოდეთ მას? საერთოდ რომ ვსთქვათ განათლებას ყველ-გან ერთნაირი მიზანი აქვს, როგორც შკოლა-ში, ისე მისი კედლების გარეშეც ერთი და იგივე საქმე კეთდება. მაგრამ განსხვავება იმა-შია, რომ შკოლაში მუშაობას ერთნაირი სახე-და ხასიათი აქვს, ხოლო შკოლის გარეშე მეორე ნაირი. მასწავლებელს შკოლაში ურ-ნალი აქვს და შიგ შეიკრძა განსახორციო-რიცხვი უწერია, ყოველ დღე აღნიშნავს ვინ დადის კლასში და ვინ არა. იქვე მოსწავლე ივე რჩება იმავე კლასში კურსის დასამეორებ-ლად, კარგი შემდეგ განყოფილებაში გადადის და სხვა. მასწავლებელი ცოდნის მიცემის გარ-და, მასწავლის აღმზრდელიც არის, ხელმძ-ღვანელობს ბავშვის ყოფა-ქცევას, ზნეობას,

ერთის სიტყვით შკოლა ყოველი მხრიდან უნ-და მიუდგეს შეგირდს და მისთვის მას სიტე-მატიური განათლება, შესაფერი აღზრდა და რაც თავი და თავი სისაუკეთესო მუშაო-ბითა და ნების-ღონის გამგებლათ უსაფერ-გოს მას პრაქტიკულ ცხოვრებაში განსაღებო-თვისებები: გამოთქმეშაოთ ერთგვარი შრომის უნარი, შეუქმნას ცხოვრებაში საჭირო მე-თოდი.

დამითანხმებით, რომ შკოლის გარეშე გა-ნათლება ამ გვარის ინტენსივობით ვერ ივლის ხოლმე, მას ექნება აურებელი ზიჯაგები, მრავალ-ნაირი მიხვეულო-მოხვეულნი. უპარვე-ლეს ყოვლისა აუდიტორია ერთბა კრული და ცვალებოლია: მოხუცი, ახალგაზრდა, დიდი, პა-ტარა ყველა ერთად იძენს შკოლის გარეშე გა-ნათლებას. ზოგ მათგანი მოცილილია და ბევ-რი დრო აქვს სამეცადინოთ, ზოგი ცოდნის შექმნას ძალიან მოკლე დროს ანდომებს. ზო-გი სრულ გაკეთილს ისმენს, ზოგიც ნახე-რიდან გარბის. გაკეთილის დამზადება არ სწარმოებს შესაფერისად, დროც არ არის სამეცადინოდ ხელსაყრელი: ხან კვირაში ერ-თი გაკეთილი იმართება, ხან თუცე რამოდენ-ნიმე, მაგრამ ისიც საღამოობით, დღიური შრომით დაღლილობის შემდეგ და სხვ. ერ-თის სიტყვით აქ ყველაფერს დროული ხასია-თი აქვს, ყველა ჩქარობს, ხარბობს და ისე უნდა დანაჯალისის შეიკრძა, ზოგი მართლაც გულთ მუშაობს და ზოგი კითვე დროს ატა-რებს. ექვთ არ არის, რომ ასეთ პირობებში რაიმე მთლიანი ცოდნის მიღება ძნელია, მეც-ნიერების ამა თუ იმ დარგის ცოდნა ნაყოფე-ნაყოფად ვრცელდება და ნაწყვეტების სახით გადადის შეგირდების აღნებაში. თვით წერა-კითხვის შესწავლაც სახლ დამოუად და ნაუც-ბათივად ხდება, ვინ ფიქრობს ყველა დიდაკ-ტიურ-მეთოდურ მოთხოვნილებათა დაცვის გადაცემის საქმეში, ვინ აქივს ყურადღებას წერის დროს აუკეთობლივ საჭირო გარემოე-ბათ და მრავალი სხვა. გარდა ამის შკოლის კედლებში მიღებულ ცოდნას უფრო თეორე-ტიული ხასიათი აქვს, აქ კი, შკოლის გარე, უთოდ პრაქტიკულად უნდა ვრცელდებოდეს, აგრეთვე ამა თუ იმ ხელობათა შესწავლა და სხვა. საზოგადოე უმირისად ისეთ საგნებზე უნდა იმართებოდეს, რაც ყოველის ფენის ნა-ბიჯზე გვხვდება ცხოვრებაში: მაგ. ჰაგიონზე, საქონლის ქარზე, მიგენახეობაზე, მებაგრეუ-მიობაზე, ხოლერაზე, ტიფზე და სხვ. გარდა ამისა აუკეთებლივ საჭირო პოლიტიკურ კი-თხეებზე უნდა იქნეს, რაც შეგირდებოლი უნდა იქნეს მიმდინარე ცხოვრებასთან, პოპულიარუ-ლად უნდა შექმნებოთ ყოველი ახალი მო-მენტე, ამ შემთხვევებში, ექვს გარეშეა, ისტო-რიული ექსკურსებიც იქნება საჭირო.

ნათქვამიდან აშკარად სჩანს, თუ როგორც თანდათანობით უნდა ვრცელდებოდეს შკო-ლის გარე სწავლა და რა მიზნებს უნდა ისა-ხავდეს იგი, როგორც ხედავთ აქ ხშირად ერთადაა არჩეული როგორც დაბალი შკოლის პროგრამა, ისე საშუალოსი და ხშირად უმე-ლესის სასწავლებლისაც. პროგრამის სხვა და სხვანაირობა გამოწვეულია სხვა და სხვა-ობით, როგორც ხნოვანობის, ისე გა-ნათლების მხრავ.

ახლა გადავიდეთ იმ საშუალებებზე, რომელ-თა გათვალისწინების დროს შკოლის გარეშე განათლების მიზნები კიდევ უფრო ფართოდ დავვიდგება თვალწინ.

ვარლამ ხურციძე.
(დასასრული იქნება)

მუნიციპალური ცხოვრება.

სავალდებულო დადგენილება მეფურნე მე-თონეთათვის მალეუთა სამც. ქალაქ. საბ-ჭოს მიერ 4 აგვისტოს 1919 წ. № 14 მუხლი 3 მუხტი გ.

1. პურის სავაჭროება უნდა შესდგებოდეს ორ განყოფილებას: ა) სადაც პური უნ-და იყადებოდეს, და ბ) სადაც მოზელა და სხვა მასთან დამკვიდრებული ოპერაციების სა-წარმოებელია. ბინადრობა ამ ორივე განყოფი-ლებებში სასტრუკტო აკრძალულია.
2. ბნელი და ნესტიანი შენობებში, ფურ-

გ ა ნ ე ს ა ლ ე ბ ა ნ ი

სპირიტონ ივანეს ძე ფიცხელაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქვემო ხევის (დუშეთის მაზ.) რაიონის კომისარისგან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 26 3-2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში კაპიტანმა ეიორგი მიხეილის ძე ქავთარაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ალექსანდრა გრიგოლ ლარიონოვის ასული ქავთარაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წ. 20 თბათვეს უკვალოდ დაიკარგა 1916 წ., მაისში, რის გამო აღნიშნული გიორგი მიხეილის ძე ქავთარაძე თხოულობს მისგან გააქორწინებას: ყველა ვინც კი იცის დაკარგულ ალექსანდრა გრიგოლ ლარიონოვის ასულ ქავთარაძის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საშუალო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 23 2-2

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1919 წ. 22 ოქტომბრის დადგენილებით თანახმად სამხედრო სასამართლო წესდების 951 მუხლის, ეძებს მესამე დარიალის სანაპირო რაზმის ჯარის კაცს პორუჩიკ ნიკოლოზ პერედერას ბრალი ედება 1 ნ. 160 მუხ. XXII წიგნ. ს. დ. კ. 1869 წ. მე 4 გამ. და 373 მუხ. ს. ს. წ. ყველა ვინც იცის სამ იმყოფება პორუჩიკი პერედერა ვალდებული არის განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლლას ქუჩა № 48. 7 3-2

ძმები ა. და ნ. კოვალევიები აცხადებენ, რომ მათი ძმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე კოვალევი 1915 წ. აგვისტოს 10-დან ითვლება უგზო უკვალოდ დაკარგულათ გერმანიის ფრონტზე. ამ დრომდე მის მიერ გაცემული ვეჭირობები გაუქმებულათ ითვლება. 16 3-2

პლატონ იოსების ძე ცანავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1. დროებით აქცია, №1135 მიცემული ავიერ კავკასიის ბანკიდან 2. პირადობის მოწმობა, 3.900 მან. ფული მპოვინელს თხოვს მოწმობებს დაუბრუნოს და ფული დაიტოვოს. მისამართი: კათოლიკის ქ., № 3. 21 3-2

ინე. მ. ზ. შალიავსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 14334, მიღებული 1914 წ. ნოემბრის 24 ს. მოსკოვის ქ. უფროსისგან. 4 3-3

აბრამ ზაქარაიას ძე აბაგოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. №27 3-2

დავითარგე პასპორტი მოცემული რაჭის მაზრის სოფ. ამბროლაურის კომისარისგან ერთი წლის ვადით. მპოვინელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით, ლაბორატორიის ქუჩა № 7. წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტს ვაცხადებ გაუქმებულათ. ილარიონ იოსების ძე კობახიძე. 28 3-2

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1919 წ. 15 ოქტომბრის დადგენილების თანახმად სამხედრო სასამართლო წესდების 951 მუხლის ეძებს პირველ შავი ზღვის სანაპირო რაზმის ჯარის კაცს ვლადიმერ ჯალაღანიას, რომელსაც ბრალი ედება 1 ნ. 160 მუხ. XXII წიგნ. ს. დ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემით. ყველა ვინც იცის სამ იმყოფება ჯალაღანია ვალდებული არის განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, ოლლას ქუჩა № 48 8 3-2

ალექსანდრე ანდრიას ძე კოვლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 10 3-3

იაკობ გიორგის ძე ბოლოტნიკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა და მეტრიკული მოწმობა რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 20 3-3

1918 წ. მარტის 22-ს ტფილისის ოლქის სასამ. უფრ. ნოტარიუსის მიერ აღნიშნული გორის მაზრის სიმტიციის საქმეთა ნუსხაში სიმტიციის მოწმობა, შედგენილი ცხინვალის ნოტარიუს გოციორძის მიერ 1917 წ. დეკემბრის 10-ს, რომლითაც მოქ. ალექსი სოლომონის ძე ჯიოშვილმა 20 მან. შეიძინა საჯარო ვაჭრობაზე 1914 წ. თებერვლის 10-ს ი. წის ნაქერი სახელწოდებით „კალინდრის მიწა“. ზომით ერთი დღის საშუალო. მამული ეკუთვნოდა გიორგი ზაალის ძე მაჩაბელს და მდებარეობს ს. კურტაში, გორის მაზრა, გადახდილია: განცხ. — 1 მ. 50 კ., საქტო 3 მ., საკანც. 80 კ., სიმტიციის 80 კ. მთავარი ამონაწერი 10 კ. ღირებულების საღებრო ქალაღზე მიცემულია. 326 1-1

ივანე ვარლამის ძე ქილაშვილი აცხადებს, რომ დაჰკარგა პასპორტი ატრებული ქალაქის სამმართველოდან, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1617 3-3

მოწმობა №15, აღებული ტფილისის პოლიტექნიკუმის კანცელარიიდან ე. ა. ვარძიელის მიერ დაკარგულია, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1620 3-

დაკარგულია სამოქალაქო პროფესიონალური ხელთა საქმის სასწავლებლიდან აღებული მოწმობა ნინო არჯავანის ასულის ანანოვის მიერ მპოვინელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: არავეის ქუჩაზე 25 ნინო ანანოვის (ჩაუსოსკის). 19 3-2

დაკარგულია მეტრიკული მოწმობა, აღებული სახელწოდებით უნივერსიტეტის კანცელარიიდან ნინო დათეშძის მიერ, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 14 3-2

ანტონინა ალექსის ასული ალფეროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტაშკენტის მაზრის უფროსისგან 3/IV 1913 წ. № 189. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 4 3-3

1918 წ. მარტის 9-ს ტფილ. ოლს. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. არაქელ იაკობის ძე ტერ-აკოპოვმა 1750 მან. მიჰყიდა ნერსეს მარტიროსის ძე მელქიშევის უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს მიწის ნაკვეთს ნახმ. ვარს, ზომით 4 დეს. 2253 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-2 უბანში, ქალაქ. № 422 არის. გადახდილია: საქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტიციის 770 მ.60კ. მთავარი ამონაწერი 100 მ. ღირებულების საღებრო ქალაღზე მიცემულია. 326

სერგო დავითის ძე ახვერდოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა, ატესტატი მიღებული ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1612 3-3

კვიტანცია პეტროვარდის საერთაშორისო კომერციულ ბანკის ტფილისის განყოფილებაში, მიღებული ამა წლის ივლისის 16, 10.000 მ. სარა რაზილ ბობირმანის სახელზე, გაუქმებულია. 1613 3-2

ვაჭრობა მოხდება 1919 წ. დეკემბრის 18-ს, და თუ ამ დღეს არ დაითავროს, ვაჭრობა შეწყვეტა არა უქმე დღეებში.

თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგა დანიშნულ ვადაზე, მეორე და საბოლოო ვაჭრობა, წესდების 20 § თანახმად, მოხდება 1920 წ. იანვრის 3 ს.

ბანკის წესდების მე-17 § ის თანახმად, ვაჭრობა დაიწყება ქვემოთ აღნიშნულ თაგნი ვალის ნაშთის თანხით და საერობო და საქალაქო დარჩენილ გადასახადს მიმართებით, რომელნიც აღმოჩნდება მამულზე ვაჭრობის დღეს.

ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ, მსურველმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი ნაღდ ფულათ, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკის დარჩენილ გადასახადსა და საერობო და საქალაქო დარჩენილ გადასახადის რაოდენობას, რომელიც აღმოჩნდება მამულზე ვაჭრობის დღეს. სიმტიციის გადასახადი და ვაჭრობის დროს დამატებული წიელი თანხა მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ბანკში 14 დღის ვადაში ვაჭრობის შემდეგ.

მამულის თავნი ვალი შეიძლება გადავიდეს მყიდველზე, პატრონის ყველა ვალდებულებებით.

ბანკის წესდების მე-15 § თანახმად, პატრონს შეუძლია შეიტანოს დარჩენილი გადასახადი ვაჭრობის დღემდე, რის შემდეგ მამული არ გაიყიდება.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია დაათვალიეროს საქმეები, რომელიც გასაყიდ მამულს ეხება, ბანკის კანცელარიაში.

ამასთანავე ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ თუ გასაყიდ მამულის პირველი აწერა არ შეეღარა სინამდვილეს, ბანკი პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

ქ. სვილიძე.

აბოვეი გეგუჩი ივანეს ძე, მიწა ზომით დაახლოებით 1966 ოთხკ. საყენი, 7-უბ. კახეთის ქ. თავნი ვალი 4207 მ. 97 კაპ. შემოსატანი ვალი 503 მ. 05 კ.

აბრამიშვილი ზაქარია იოსების ძე, მიწა დაახლოებით 200 ოთხკ. საყენი, 1 უბ. ადგილის მდებარეობა „ვაკე“.

ალი მამედ ოღლი და ასან მამედ ასკერ ოღლი, შენობა მიწით, ზომით 200 ოთხკ. საყ., 1 უბ. სასაფლაოს ქ., თავნი ვალი 8763 მ. 47 კაპ., შემოსატანი ვალი 736 მან. 55 კაპ.

